

F 85  
1915

№ 14

19 აპრილი 1915 წ.

ქართული  
შაზ-ნიმუხი

მიიღება ხალის მოწერა

წლიური ფასი

≡ 5 მან. ≡

ცალკე ნომერი 10 კაპ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ.

მიზანი და სალიტერატურო შუხნალი

წელიწადი მეოთხე

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

მართი: თბილისი, გაბაევსკიი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპუტისა: თბილისი კლდე.

F 659  
ა რ რ 0 3 0:

1. ამის პრადოქსი. 2. სახალხო სისწავლეების რეფორმის გამო. — ხანდროშვილისა.
3. საგზაოებზე და კამპანია დასავლეთ ასპარეზზე. — დიოგენისა. 4. ამი და რუსეთის
- საკლესაო საკითხი. — რ. გენი. 5. სიუვარდის უფაიდი (ზღაპარი). — ინ-ბანისა. 6.
- უზრუნველ ქართულის დღიურიდან. — გ. ახ — ელისა. 7. პრესა. 8. სხვა და სხვა ამბე-
- ბი. 9. თიღიზის შუფე ქართულ სტენაზე. — დ. კ — ძისა. 10. პრეზიდენტის ცხოვრება.
- იმერელისა. 11. წერილი რედაქციის მიმართ.



ხელის უმბარების სროლა ინგლისურ თხრილებთან.

ბიბლიოთეკის  
წიგნების  
ნაწილობრივი  
ფონდის  
განყოფილება



# ომის პარადოქსი

მთელი ქვეყანა ამბობს და აქსიომადაც მიაჩნია, რომ პატარა სახელმწიფონი და ერები უეჭველად მიემხრობიან იმ მხარეს მებრძოლთა, რომელიც გამარჯვებს თვალსაჩინოდ და გამოირკვევა საბოლოოდ, იმარჯვებს სამთა კავშირი, თუ სამთა შეთანხმება. მხოლოდ მაშინ გამოჰყოფენ თავიანთ ხიშტიან პრეტყალებსაც—ბულგარეთი, საბერძნეთი, რუმინია და სხ. და სხ. რომ სულამდის ჩაჰყვნენ დამარცხებულს და გემრიელი რამ ლუკმა დასცინულონ გამარჯვებულს მხარეს.

ჩვენის აზრით, ეს არ შეეფერება არც პოლიტიკურს და არც უბრალო ლოდიკურს მსჯელობას და პატარა სახელმწიფონი არც ამართლებენ თავისი ქცევით ზემო აღნიშნულ აზრსა.

პატარა სახელმწიფოთა და ერთა ბედი მთლად დამყარებულია დიდ სახელმწიფოთა ქიშპობაზედ, მათ ძალთა წონა-სწორობაზედ, თორემ უკანასკნელნი რომ შეთანხმდენ, ან დაირღვეს წონა-სწორობა—პატარა სახელმწიფონი იძულებულნი იქმნებიან აღი-

გავონ პირისაგან მიწისა და შთანთქმულ იქმნენ დიდებისაგან.

სწორედ ამიტომ პატარა სახელმწიფოთ უნდა უხაროდეთ პოლიტიკურის სიხარულით ომის გაგრძელება, რომ დიდები დასუსტდნენ ერთის მხრით და მეორე მხრით არ დაირღვეს წონა-სწორობა რომელიმე მათგანის საბოლოო გამარჯვებით. სწორედ ამით აიხსნება ბულგარეთისთანა პატარა და შორსმკვრეტელ სახელმწიფოთა ორქოფობა. რა ხელსაყრელია მისთვის სრული გამარჯვება ან გერმანიისა, რომელიც მასაც ისე ჩაჰყლაპავს, როგორც ბევრი სხვა ჩაუყლაპია, ან მოკავშირეთა გამარჯვება რად ენდომება, რომლის წინაშე წინდაწინვე თრთის ჯერ გაუმარჯვებელია.

პირიქით, პატარა სახელმწიფოთა მოხერხებული პოლიტიკა, თუ კი მაზედ დამოკიდებულია რამე ყოველთვის ეცდება იქითკენ გადაჰხაროს თვისი სიმპატიები, ვინც მარცხდება მისი აზრით, რომ უფრო ხელი შეუწყოს ომის გაგრძელებას და წონა-სწორობის აღდგენას. ისინი უნდა თამაშობდნენ როლს აბრისას, რომელიც ბედის სასწორის იმ ჯამზედ დაეცემიან, რომელიც მალლა იწევს.

# სახალხო სასწავლებლის რეფორმის გამო

გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ამ დღეებში დაასრულა თავისი მუშაობა პირველ დაწყებითი სახალხო სასწავლებლის მოსაწესრიგებლად სამინისტროსთან შემდგარმა კომისიამ.

კომისიას აუცილებელ საჭიროებათ უცვნია პირველდაწყებითი სასწავლებლების გარდაქმნა, გამაცოცხლებელ საჭიროებათა შეტანა და ამ აზრით თავისი შეხედულება და სურვილებიც წარუდგენია მინისტრისათვის. უნდა ითქვას, რომ ის ზომები, რომელიც სასურველად უცვნია კომისიას, თანაგრძნობის ღირსია.

მისი აზრით—სკოლამ უნდა გაუღვიძოს და განუვითაროს მოსწავლეს ცნობისმოყვარეობა, არ უნდა დაუხშოს გონება უაზრო და უსულო მასალის გაზებირებით, არამედ უნდა განუვითაროს ბუნებრივი ნიჭი. პირველდაწყებითმა სასწავლებელმა ისეთი მომზადება უნდა მისცეს ბავშვს, რომ უკანესკნელს შეეძლოს საშუალო სასწავლებელში გადასვლა. რუსული ენის პროგრამაში შეტანილი

უნდა იყოს სისტემატიური ელემენტარული შესწავლა ბუნებისა, სამშობლო გეოგრაფიისა და სამშობლო ისტორიისა. სკოლაში ცოდნის მიღებას ხელს უნდა უწყვედეს და ემსახურებოდეს სწავლა სკოლის გარეშედაც. ამ აზრით კი კომისიას საჭიროდ უცვნია მოეწყოს კურსები მოზრდილთათვის, ექსკურსიები ვაიმართოს სისტემატიურად სოფლად საზოგადო კითხვა სასარგებლო საგნებიდან და სხვა განმანათლებელი გასართობები.

განახლებული სასწავლებლისა და ყველა ამ კეთილ სურვილთა განხორციელებისათვის საჭიროა უფრო მომზადებული მასწავლებელი, მათი მატერიალური უზრუნველყოფა და უკეთეს პირობებში ჩაყენება ამისთვისაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია კომისიას.

ყველაფერი ეს, ვიმეორებთ, თანაგრძნობის ღირსია, მაგრამ არ შეგვიძლიან რუსული პრესის ერთი სამართლიანი შენიშვნა არ გავიმეოროთ და ერთიც ჩვენი მხრით არ დავუმატოთ. ყველაფერი



ის, რაც სასურველ და აუცილებელ საქმეებთან უკვნიან კომისიას—ისეთი ჭეშმარიტებანი არიან, რომელთაც დიდიხანია იცნობს რუსეთის საზოგადოება და დიდიხანია იბრძვის მათ განხორციელებისათვის. და თუ ვისმეს დღემდე ეჭვი შეჰქონდა მათ სარგებლობაში და ეწინააღმდეგებოდა მათ განსახიერებას—ეს ისევ სახალხო განათლების სამინისტრო გახლდათ. მას შეჰქონდა სასწავლებელში უსულო ფორმალისტიკა, ტვინის გამლაცხველი უციკოცხლო საგნები. მოხელეთა ერთგულებით სისტემატიურად სდევნიდა სასწავლებლიდან ყოველივე საღ მიმართულებას, სიცოცხლით სავსე ცოდნას, სკოლის გარეშე სწავლა, სახალხო კითხვები—ხომ დევნილნი და ტანჯულნი იყო დღემდის.

დღეს კი სხვა სიო სისინებს სამინისტროს მიდამოებში. საქაროა მხოლოდ სურვილი და პროექტი საქმედ იქცეს, მათ კანონის, იძულებითი ხასიათი მიეცეთ, რომ უკუღმართობას საუკუნოებით მიხვეული აღმასრულებელი მექანიზმი, მოხელეთა იერარქიის სახით, შეინძრეს მის განსახორციელებლად.

შედგენა და ცხოვრებაში გატარება ახალი პროგრამებისა პირველ დაწყებითი სასწავლებლები-სათვის გამოთქმულ ზრუნვათა და განზრახვათა—აღსრულება გვაჩვენებს, თუ რამდენად გულწრფელ და ნათელ გზაზე სდგას სამინისტრო. ჩვენ კიდევ ერთი მოვლენა გვაინტერესებს, რომლის უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელი უნდა იყოს. ჩვენ ჯერ დაწვრილებით ცნობებიარა გვაქვს, მაგრამ როგორცა სჩანს გაზეთებ-დან ლაპარაკი ყოფილა მხოლოდ რუსულ, უკეთ რომ ვსთქვათ ველიკორუსულ სკოლების შესახებ.

არ ვიცით, რა აზრით უნდა ხელმძღვანელობდეს სახელმწიფო მოღვაწე, რომ გვერდი აუხვიოს იმ წარმოუდგენელ უბედურობას, რომელშიაც იყვნენ და არიან ეგრეთ წოდებული „ინოროდცების“ სკოლები რუსეთში.

თუ ტანჯული იყო რუსეთის სკოლა, ერთი ათჯერ და ასჯერ იტანჯებოდა პატარა ერების სკოლა, რადგან მანვე მიმართულება აქ ორკეცდება და კონსერვატულ აზრებს ოფიციალურ ნაციონალიზმით შობილი პოლიტიკაც ზედ ერთოდა გაუგებარი და ბევრის არა კარგის მთქმელი ხდება დღეს, მეტადრე დღეს, ასეთი სიჩუმე ასეთ საზოგადოებრივ წყლულის წინაშე.

რა სარჩულიც უნდა ედოს მას იგი ბევრი რამის მთქმელია და მითი დაინტერესებული პატარა ერები, ფხიზლად უნდა მოექცნენ ამ საკითხს და ნათელი წარმოდგენა იქონიონ მის შესახებ. ეს ყოველად საქაროა ერის შეგნებულ მუშაობისათვის სწავლა-განათლების საქმეში, რომლის საღი მსვლელობა გასაღებია საღ ეროვნულ პოლიტიკურ-სოციალურ ცხოვრებისათვის.

სანდროშვილი.

## საკაზაფხულო კამპანია დასავლეთ ასპარეზზე

დღევანდელ დღეს, როდესაც საზამთრო კამპანია დასრულდა, ყველას ცნობისმოყვარეობა გაელვია, თუ რას მოგვიტანს გაზაფხულიო. ზამთრის კამპანია ომის ასპარეზზე მაინცა და მაინც არაფრით იყო აღსანიშნავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოკავშირეთა მეტად მწირს ცნობებს, ამდენსა და ანდენ მეტრზე წავიწიეთო. საბოლოო შედეგი ამგვარი „წინსვლისა“ გახლავთ ის, რომ მუდამ „მდგომარეობა“ ისევ უცვლელად რჩებოდა. ხანგრძლივი დუმილი, რაც კალესკენ ლაშქრობის შემდეგ ჩამოვარდა, ამგვარი კანტი კუნტი ზარბაზნების დუელით ირღვეოდა. სამხედრო მიმომხილველნი და მათ შორის „რუსკ. სლოვოს“ ცნობილი მიხაილოვსკი ბევრჯერ გადასცდა ობიექტივობის საზღვარს

რომ ძალა გერმანიისა როგორც აქეთ, ისე დასავლეთ ასპარეზზე სამუდამოდ დართუნვილია. ომის ინიციატივა ეხლა მოკავშირეთა ხელში გადავიდა და მალე დადგება საზოგადო შეტევის წამიკაო. იყვნენ ზოგიერთნი, რომ ამგვარ დასკვნას ჯერ კიდევ ნაადრევად სთვლიდნენ. „რუს. ვედ.“ სამხედრო მიმომხილველი, ოგლინი, მაგალითად, ცოტა ეჭვის თვალით შეჰყურებდა ასეთს წინასწარმეტყველებას. დებეშათა სააგენტოც თითქოს მხოლოდ იმას გვიკარნახებდა, რომ „აღსასრულის“ დღეც მოახლოვებული იყო, როდესაც ომბ-ანადენ მახვილით ჩამოვარდება სანატრელი ზავი. ამასობაში კი მოკავშირენი აძლიერებდნენ ბრძოლის ასპარეზს. ფრანგების რწმუნებით ეხლა სულ სხვა ხანა იყო. პირველად გერმანელებს გამარჯვება იმიტომ ჰხვდათ



სწრაფად, რომ მომზადებულნი იყვნენ. ეხლა ჩვენ შეერთებული ძალებით ორჯელ აღვემატებით გერმანელებს. ამას გარდა ათჯერ მეტი საომარი სამზადისი გვაქვს. ვიდრე ომის პირველ დღეებშია ამ ხმას ადასტურებდა ინგლისის ჯართა მთავარ-სარდალი ფრენჩი. დეპეშათა სააგენტოს ცნობით ლლოიდ-ჯორჯს სათემო პალატისთვის სარდლის პირით გადაუცია, რომ მთელ ზამთრის პერიოდში ჩვენ მოვასწარით გერმანელთა საწინააღმდეგოდ შინ დივიზიამ. სამხედრო იარაღი დიდძალი მოგვკრიბეთ. თუ დავუჯერებთ მიხაილოვსკის, აქ ანგარიშში არ შედიოდა ინდოეთის ჯარები. ყოველივე შემთხვევაში ოფიციალური ცნობების მიხედვით კონტინენტზე ლორდ კიტჩინერს აბარია 24 დივიზია; მეორე არმია ჰამილტონის მეთაურობით დარდანელისაკენ გაუგზავნიან. ნაწილი ამ არმიისა ეგვიპტეში გადუსხავთ, ნაწილი კრდევე კუნძულ ლემნოსზე, ხოლო მესამე ნაწილი იმავე არმიისა სატრანსპორტო გემებზე იმყოფება ეგეოსის ზღვაში. მაშასადამე, ინგლისელთა მუქარა ცარიელა სიტყვები არ ყოფილა. სამხედრო იარაღიც ინგლისში იმავე ოფიციალურ ცნობებით ცხრამეტჯერ მეტი ყოფილა, ვიდრე ომის დაწყებამდე, ე. ი. იმდენი, რაც თითქმის 114 დივიზიას ეყოფოდა.

ცხადია, ასეთი ცნობების შემდეგ, ყველა დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მოკავშირეებს ხელთ ჩაუვარდებოდათ ომის ინიციატივა. მაგრამ გაზაფხულმა სულ სხვა ყვავილები გამოიღო გერმანელთა მხრით დიდი ხნის დუმილს მოჰყვა ჯერ არ ნახული უმაგალითო ქუხილი. ჯერ დეპეშათა სააგენტომ ამ ათიოდე დღის წინ გვაუწყა, გერმანელები დასავლეთ ევროპის ასპარეზზე დიდძალ ჯარს ლყრიან თავსაო; ამას მალე ოფიციალური ცნობებიც

მოჰყვა და უეცრივ, ცხრა აპრილს, საშინელი იერიშიც მიიტანეს ბელგიის დასავლეთ ნაწილში. სახელდობრ იპრთან, სადაც შემოდგომის დამუდუღეს მრავალთა სისხლი დაიღვარა. აქ მოკავშირეთა სტენსონში დამარცხებულნი იყვნენ ფრანგები, მარცხენა ფრთა იზესისაკენ ბელგიელებს ეკავა, ხოლო მარჯვენა ფრთაზე გამაგრებულები იყვნენ ინგლისელები. ამ უმაგალითო იერიშის დროს გერმანელებმა მოიხმარეს ახალი გამოგონილი ზარბაზნის ტყვიები, რომელნიც გასკდომისთანავე სულის შემხუთავს გაზს უშვებენ. გერმანელთა გაფითრებულ იერიშმა ის ნაყოფი გამოიღო, რომ მოკავშირეთა ჯარები გაარღვიეს და ერთი ერთმანეთისაგან დაუშორებიათ. შემდეგ დღეებშიც არ შეწყვეტილა სისხლის ღვრა. ომმა მკაცრი სახე მიიღო. გერმანელები ესროდენ ინგლისელთა კანადიელ ჯარებს და საშინლად დააზარალებს. თვით ფრენჩის სიტყვით მთელი თხრილები საუსეა დახოცილთა გვამებით. გერმანელთა ლაშქარის მეორე ნაწილმა გაარღვია ფრანგების ჯარი. მალე ბრძოლა მთელს დასავლეთ ასპარეზის ხაზზე გაიმართა. გერმანელთ უმთავრესი იერიშები მიექვეთ ინგლისელებზე. სულ შემხუთველ გაზთან ყუმბარებს უშენენ და იერიში იერიშზე მიაქვთ. ინგლისელები თავდაცვის გზას ადგიან და ჯერჯერობით შორსაა ის მომენტი, როდესაც ომის ღმერთი ინიციატივას მათ გადაულოცავს. ასეთი სახით დაიწყო საგაზაფხულო კანპანია დასავლეთ ასპარეზზე და როგორ დამთავრდება იგი, გამართლდება თუ არა ზოგიერთ წინასწარმეტყველთა და განსაკუთრებით „Times“-ის რწმუნება, რომ ომი ზაფხულის პირველ რიცხვებში გათავდება გერმანელთა სრული დამარცხებითაო, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

დიოგენი.

## ომი და რუსეთის საეკლესიო საკითხი

ეხლანდელ ომს ყველა მებრძოლი მხარე „განთავისუფლებელს“ ეძახის, რადგან ყველასა ჰგონია, რომ განთავისუფლება მხოლოდ მისაგან შეიძლება და არსებით მეორის მხრიდან, ყველასა ჰგონია რომ განთავისუფლება მხოლოდ მისი სუვერენობის დამორჩილებათა. ასე ჰგონია არა მარტო მართლაც თავისუფლების მოყვარულ ინგლისს, არამედ

კულტუროსან გერმანიასაც, რუსეთსაც და წარმოდგინეთ—ოსმალეთსაც კი. მაგრამ ყველა ეს რაღათქმა უნდა ფაქტიურ განხორციელებას ვერ მიაღწევს ხოლმე, როგორც ჩვენის ბედნიერის თვალით ვხედავთ პირიქით, რაც უფრო მედგრად მიიწევს გამარჯვებული მხარე წინა, მით უფრო იმპერიალისტური ხდება ყოველი მისი ზრახვა და არა მარტო



უმალეს წრეებში, არამედ ეს ფსიხიკა თანდათან გადადის სხვა წრეებსა და ხალხშიაც. დღეს ჩვენ არ გამოვეყიდეებით მრავალ მაგალითებს ამისას ინგლისში, გერმანიაში თუ სხვაგან, ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთ საინტერესო მოვლენაზედ რუსეთის საეკლესიო საქმეში.

რაც ომი დაწყებულა, რუსეთის საეკლესიო წრეები მხურვალე მონაწილეობას იღებენ იმ ახალი საეკლესიო საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც წამოაყენა მაგ. გალიციამ თავისი უნიატური სამრევლოებით. მკითხველმა იცის, თუ როგორი მიმართულება მიიღო ამ საკითხმა. დღეს საკითხი უფრო რთულდება და საეკლესიო წრეები სწევენ საკითხს უფრო დიდს სახელდობრ სტამბოლის საპატრიარქოსას.

აი ყური დაუგდეთ ცნობილს ვ. სკვერცოვის გამოცემულს, არა ნაკლებ ცნობილს „კოლოკოლს“.

„დიადი ომი, აყენებს რუსეთის წანაშე მთელ რიგს დიდის საკითხებისას არა მარტო გარეშე პოლიტიკურ, არამედ შინაგან ცხოვრებაშიაც, როგორც სახელმწიფოსი, ისე ეკლესიისა; ანუთია საკითხი—კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ბედი და მისი დამოკიდებულება რუსეთის უმალეს მმართველ ეკლესიასთან, ცარგრადის დაცემის შემდეგ და აგ-

რედვე საკითხი წმ. ადგილებისა და ჩვენი შართლ-მადიდებელი ინტერესების დაცვა პატრიარქაში“.

ამის შემდეგ ავტორი ასუკრათებს „თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანა, და საინტერესოა ეს საკითხი და პირდაპირ უსვამს ხაზს საქმის რუსეთი ერთ საპოლიტიკო-საეკლესიო იდეას ემსახურებოდა, რომ საზღვარი სახელმწიფოსი და ეკლესიისა ერთი და იგივე უნდა იყოსო. ამ იდეით XVII საუკუნეში, როდესაც შემოერთებული იყო მალოროსია, კიევის მიტროპოლიტი, რომელიც ემორჩილებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს, დაუმორჩილეს მოსკოვის პატრიარქს. საქართველოს შემოერთებისას, გაუქმდა მისი ავტოკეფალური ეკლესია და დაუმორჩილეს რუსეთის სინოდს. დღეს, გალიციის დაქვერის დროს, რომელიც ექვემდებარება კონსტანტინოპოლის პატრიარქს, ჩვენ შეგვაქვს ჩვენი სამრევლოები.“

როდესაც კონსტანტინოპოლს შემოვიერთებთ, განაგრძობს სკვერცოვი, დაიბადება მწვავე საკითხი: „რადგან კანონიურის ძალით ერთ სახელმწიფოში შეუძლებელია იყოს ორი ავტოკეფალური ეკლესია და ორი არქიეპი, რომელნიც არ ემორჩილებიან ერთერთმანეთს—ამიტომ ან რუსეთის ეკლესიამ უნდა დასთმოს თავისი პრინციპი, ან და



ინგლისური ზედრედნოუტი „მეფე-ელიზაბეტ“ დარღველის სრუტეში.



კონსტანტინოპოლის საპატრიარქო გაუქმებულ უნდა იქნას.“

„რუსების უკანასკვლელ კრებაზედ, უკანასკნელი აზრი, ე. ი. პატრიარქატის გაუქმება—კატეგორიულად იყო აღიარებული.“

გამოთქმული ყოფილა ის აზრი, რომ პატრიარქს უნდა პატარა ავტონომია შერჩეს და უძველესი ეკლესია სტამბოლში, მაგრამ ამ მცირეხედაც სკვორცოვი ირონიულად დაასკვნის: „მაგრამ ყველა ეს, რასაკვირველია აზრებია, რჩევა და მოსაზრებანი. საეკლესიო-ობივატელურიო.“

მკითხველი ნათლად დაინახავს ამ პატარა ილუსტრაციიდანაც თუ რაგვარ განთავისუფლებას მიუტანენ ბატონნი სკვორცოვები იმ ადგილს, საცა ფეხს დაადგამენ, როცა ჯერ ფეხდაუდგმელსაც აუქმებენ წინდაწინვე.

რ. გ.

# სიყვარულის უვაილი

(ზღაპარი)

## I

დასავლეთის ხელმწიფეს ერთი ვაჟი ჰყავდა: ტანადი და თვალადი, მარჯვე მსროლელი და უშიშარი.

ერთს დილით ხელმწიფის შველი სანადიროდ გამოვიდა ტრიალ მინდორზე და უცხოსა და მშვენიერ შველს თვალი მოჰკრა. ძალიან მოეწონა.

ეგ თუ ცოცხალი არ ჩავიგდე ხელში, მაშთავი ცოცხალი რაღად მინდაო, სთქვა თავის გულში ჰაბუკმა და აღმასის პირიანი ისარა შველს ფეხში დაუმიზნა, მაგრამ დააცდინა. ნადირი გაიქცა.

— ლამაზი ხარ, შველო! ვერსად წამიხვალ, ჩემი უნდა იყო! — წამოიძახა დასავლეთის ხელმწიფის შვილმა და გაქცეულ ცხოველს გამოეკიდა.

შვილი ნიავექარივით მიექანებოდა, აღმოსავლეთისკენ მიისწრაფოდა. ხელმწიფის შვილიც რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიაფრენდა თავის რაშსა, მაგრამ სროლის მანძილზე ვეღარ უახლოვდებოდა.

სამი დღე სდია ნადირს ჰაბუკმა

მეოთხე დღეს შველი სიტყვით აუწერელ წალკოტში შეიქრა. ხელმწიფის შვილი შესდგა, შეყოყმანდა, ცოტა არ იყოს შეკრთა კიდევ; წალკოტში შესვლას ვერა ჰბედავდა: რაღაც საიდუმ-

ლოებით იყო იქაურობა მოცული. თითქოს უცხო ადამიანის დანახვაზე ყველა ალაპარაკდა; ჰაბუკმა აშკარად გაიგონა, ცხადათ დაინახა, რომ გვერდზე ბალახი გაღიხარა და თავის მოძმეს წასჩურჩულა, მოვიდაო; ხეებმაც ერთმანეთს დაუტყნის, ერთმანეთს რაღაც ანიშნეს, ტოტები ხელმწიფით გასაფსავეს, ფოთლები აღელდნენ. ხელმწიფის შვილს თითო წუთი მთელ საუკუნედ მოეჩვენა, გაჯავრდა, თავის თავი შეარცხვინა, გული გაიმაგრა და რაში წალკოტში შეახტუნა. თვალწინ უცხო რამ სანახაობა წარმოუდგა: შველი ქალს წამოსწოლოდა ფეხთით! ქალი ოქროს სკამზე იჯდა, დაქანცულს ცხოველს თავზე ხელს უსვამდა და ზრუნვის თვალით დასცქეროდა; შუბლზე წყაროს წყალს აბაქურებდა.

ვაჟი გაოცდა, ამგვარი მშვენიერება ჯერ არსად ენახა. ისეთი თმები ეყარა ქალსა, რომ მზის სხივებს შუქს უკარგავდა.

— ჩემო, მალო, — ეუბნებოდა ლამაზი ცხოველს, — ძალიან დაღლილხარ! სად იყავი ამდენს ხანს? რა არის? რათ ქმინავ აგრე მძიმეთ?

რაშის ფეხის ხმაზე შველი შეინძრა და წამოდგომა დააპირა.

— რა მოგივიდა, მალო? — შეეკითხა ქალი და იქითკენ მიიხედა, საითკენაც შველმა მოუსვენრად თვალები მიაპყრო.

ქალმა უცხო ჰაბუკი დაინახა და ფეხზე წამოდგა, ლელწამივით შეირხა, წინ წამოცვივნილი ოქროს თმები უკან გადიყარა და უღრუბლო დილის ცის დარი თვალები მოსულს მიაშუქა.

— სიხმარში თუ ვარ, თორემ აქ ვინ მომიყვანდა? — იფიქრა დასავლეთის ხელმწიფის შვილმა. ჩემს თვალწინ უთუოდ ის მნათობთა მეფე დგას, რომლის ბრძანებით ცაზე მზე, მთვარე და ვარსკვლავები გამოდიან... სიხმარში თუ ვარ! — გაიმეორა კიდევ ვაჟმა.

— ვინა ხარ? — შეეკითხა ქალი. — შენ დაღლიე ჩემი მალო?.. მე აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალი ვარ. ეს წალკოტი მე და ჩემს დას კობარას გვეკუთვნის. შველიც ჩემია. როგორ გაბედე აქ მოსვლა?..

აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალის ხმა ქნარივით წკრიალებდა, დასავლეთის ხელმწიფის ვაჟი კიდევ მოკრძალებით ისმენდა.

— ადამიანის შველი ყოფილა? — სთქვა თავისთვის ჰაბუკმა და სახეზე სიამოვნების სხივმა გადაურბინა.



ქალი იდგა და პასუხს ელოდა.

— მზეთა მზეო! მე დასავლეთის ხელმწიფის შვილი ვარ. — უპასუხა ჭაბუკმა. — რა ვიცოდი რომ შენი შვილი იყო ჩემდა საბედისწეროდ გამოვეკიდე. — ჭაბუკს სახეზე ღრუბელი გადაეფლო. — წავალ, მაგრამ, როგორც ვატყობ, ჩემი გული თან აღარ გამომყვება.

ქალს ჭაბუკის სიტყვები გულში ჩასწვდა და თავი ჩალუნა.

— ცინარა! — გაისმა მკვეთრი ხმა და ყვავილთა ბუჩქებიდან ახალგაზრდა ქალი გამოსრიალდა; გარშემო შავი ელვარე თმები შემოჰფანტოდა; ლოყები დაჰმკვრახოდა. ქალის თვალები უმთვარო ღამის უღრუბლო ცა იყო; შიგ თითქოს ვარსკვლავები უციმციმებდნენ. ხშირ წარბებ შუა ორი ნაოჭი გამოჰნასკოდა. დასავლეთის ხელმწიფის ვაჟს ტყის მეფექალი ეგონა.

— ცინარა, გიპოვია შევლი? — შეეკითხა შავთმიანი ოქროს თმიანსა და შევლს წკებლა გადუშხუვლა. შევლი პატრონს ამოეფარა.

— კარგი, კობარა, ნუ გიყვარს შენ ამისი წვალემა. — უთხრა ცინარამ მუდარით. — რას გიშავებს ჩემი მალა?

კობარამ ყურადღება არ მიაქცია დის სიტყვებს და ერთი კიდევ ასწია წკებლა შევლის დასაკრავად, მაგრამ თვალი მოჰკრა რაშზე მჯდომარე უცხოელს და შეჩერდა. ძალიან მოეწონა ახალგაზრდა ჭაბუკი და დაეინებით დაუწყო ცქერა.

ვაჟმა კი მხოლოდ ერთხელ გადაავლო კობარას თვალი და ისევ ცინარას დაუწყო მზერა.

კობარას სახეზე ბოროტმა ღიმმა გადაჰკრა — მიუახლოვდა რაშსა და მოულოდნელად წკებლა გადაუშხუვლა. რაშს ემწვავა, ყალყზე შედგა და დანდობილი ჭაბუკი ძირს გადმოაგდო.

— კობარა, ეგ რა ჰქენი? — წამოიძახა საყვედურის კილოთი ცინარამ.

მაგრამ სადღა იყო კობარა. მხოლოდ ბოროტი კასკასილა ისმოდა. ქალი ტევრში მიიმაღა.

შერცხვენილი ჭაბუკი ელვის სისწრაფით წამოიჭრა ზეზე. თვალებიდან ცეცხლი სცვიოდა. გამწყრალი მოახტა რაშსა, შემოჰკრა დეზი და ფრინველივით გააფრინა. ცინარას აღარ მოხედა.

ცინარას ლურჯი თვალები მოენისლა. სხივთა ისრება აღარ სცვიოდა. ჭაბუკის სახე გულში ღრმად ჩაეჭრა.

— მზე ჩაესვენა. — სთქვა ნაღვლიანად ქალმა. — ბნელმა ქვეყანა მოიცვა. ნეტავი როდის გათენდება!..

II  
უკონსულის  
განმარტება

დიდხანს მიჰქროდა გაჯავრებული დასავლეთის ხელმწიფის შვილი. გზაში არაფერს ამჩნევდა, არც ტყესა და არც ღრესა. ბოლოს როგორც იყო გული დაიმშვიდა და ფიქრებს მიეცა. თვალწინ ცინარა წარმოუდგა და გულს კაემანი შემოაწვა.

შინ რომ დაბრუნდა, ხმა არავის გასცა.

— დიდო ხელმწიფე, — მოახსენეს დასავლეთის მბრძანებელს. — თქვენი შვილი ლომდარი დაბრუნდა. ცა მოჰლრუბელია და ჩვენ ბედშავთ მნათობნი უუქს აღარა გვფენენ. ლომდარის თავს რაღაცა ამბავია; ჩვენო ხელმწიფე!

მამამ შვილი მოიხმო.

— შვილო ლომდარ, რატომ ცა აღარ იციანის, შუბლი რათ შეუკრამ და მიდამო რათ დაულონებია? რა დაგეშართა? კითხა დასავლეთის ხელმწიფემ.

— ეჰ, მამაჩემო ბედმა მნათობთა მნათობის ნახვა მარგუნა, მაგრამ ძალიან ცოტა ხნით კი აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალი ცინარა ვნახე და იმის სიყვარული გულში ჩამივარდა. — შესჩივლა შვილმა მამასა.

— აბა, მაგისთვის რა გალონებს! — უთხრა ხელმწიფემ თავის მემკვიდრეს. — შეუთვლი აღმოსავლეთის ხელმწიფეს, თუ ნებით მოგცა თავის ქალი ცინარა ხომ კარგი, თუ არა და წაიყვა ეს ჩემი ჯარი და ძალით წაართვი. მართალია ძლიერია აღმოსავლეთის ხელმწიფე, მაგრამ არც მე ვარ ნაკლები და ჩემი შვილიც არავის დასაწუნი არ არის.

სთქვა დასავლეთის ხელმწიფემ და ასრულა კიდევ თავისი განზრახვა. აღმოსავლეთის ხელმწიფეს შეუთვალა: შენი ქალი ცინარა ჩემს ვაჟს ლომდარს მოსწონებია და უნდა მოათხოვო, თუ ამას არ იზამ, უნდა მეომოვო.

ომი რათ გინდაო! — შემოუთვალა აღმოსავლეთის ხელმწიფემ. — ყველასთვის მზე აღმოსავლეთით ამოდის, ჩემი ცინარა კი სულ დასავლეთისკენ იცქირება და იქიდგან მოელის მზის ამოსვლას შენი ვაჟი შემთხვევით თავის წალკოტში უნახავს, გულში ყვავილის კოკორი გადაეფურჩნა და ეხლა ღამის ჩამოდნეს, მზადა ვარ შენი ლომდარი დავისიძეო, გამოგზანეო.

ლომდარი მოიკაზმა, როგორც კი შეეფერებო-



და ხელმწიფის შვილსა, გამოართვა მამას რჩეული ამალია და აღმოსავლეთისკენ გაემგზავრა.

დიდის ზემით დახვდა აღმოსავლეთის ხელმწიფე დასავლეთის ხელმწიფის ვაჟსა და დიდი ნადიმი გადაიხადა.

ნადიმის უკან ასპარეზობა გაიმართა. ლომდარის ამალია ეჯიბრებოდა აღმოსავლეთელის ამალას და დიდს ვაჟაკობას იჩენდა. ასპარეზობას ხელმწიფის ქალებიც დაესწრნენ.

ცინარას სახე უცინოდა, ბედნიერად გრძნობდა თავსა; კობარას კი სახე მოჰლუშოდა და წარბებს შუა ორი ნაოჭი უფრო ჩაპღრმავებოდა, თვალებში უცნაური შუქი უკრთოდა.

ლომდარი მარტო ცინარას უცქეროდა, თვალი ვერ მოეწყვიტნა. ქალი იღიმებოდა და გარშემო შუქს აბნევდა.

— აბა, ვინ შეეგბება ჩემს ლომს, ვინ შეეგბება! — წარმოიძახა უცბათ კობარამ.

აღმოსავლეთელებში მსურველი არავინ გამოჩნდა იცოდნენ, რა საშიში და ძლიერი იყო კობარას ლომი. ქალს სადღაც ებოვა ლომის ლეკვი და გამოეზარდნა. ვერც ერთი ვაჟაკი ვერ ეკარე-

ბოდა მხეცთა მეფეს. ლომი მხოლოდ თავის გამზრდელს ემორჩილებოდა.

მხეცთა მეფესთან ბრძოლის სურველი მარტო ლომდარის ამალიამ გამოვაცხადა.

მოიყვანეს ლომი. ბულუღის ოდენა ფაფარი ასწეწოდა. თვალებს ანთებულ მაშხალასებრ აბრიალებდა. ცასებრ ჰქუხდა.

ბევრი დასავლეთელი ჰაბუკი გამოასალმა სიკოხლეს ნადირთა მეფემ.

კობარამ ლომდარს გადახედა დასავლეთის ხელმწიფის შვილმა ველარ მოითმინა და თვითონ გავიდა ლომთან საბრძოლველად. ცინარა შეკრთა. გული მიეფერა:


— დაო, რისა გეშინიან? დევგმირია შენი საქრმო; ჩემი ლომი რას დააკლებს? — უთხრა კობარამ დას დაცინვით და მოკდანს გადაავლო თვალი.

თვალწინ უცხო სანახავი წარმოუდგა: ლომდარი მშვიდის ნაბიჯით უახლოვდებოდა ლომსა; ხელში მარტო მახვილი ეჭირა. მხეცი განაბულიყო და მოქნილი ტანი მოერკალნა. უცბათ გაიშალა, კამარა შეჰკრა და ლომდარს ეძგერა, მაგრამ მარ-

გერმანელთა წყალქვეშ მავალი ნავიდან ესვრიან ზარბაზანს — ჰაეროპლანს.







საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
სამეცნიერო ცენტრი

დარდანელის სრუტეში (ოსმალები ელიან მოკაფშირეთა ხომალდებს).

ჯვედ ნკრავმა მახვილმა თავი გაუბო და დედამიწა ზეგაგორა. ხალხმა სასიძოს ქება შეასხა.

ლომდარმა წაავლო მკვდარს ლომს ფეხში ხელი, ასწია მალლა, წამოიღო და ცინარას წინ დაანარცხა.

— ესე მოედოს შენს მტერს ბოლო! — შესძახა ქაბუკმა თავის საცოლეს.

— ზურგი როგორა გაქვს, ხელმწიფის შეილო? — ჰკითხა ბოროტის ღიმილით კობარამ. — მგონი ძალიან მაგრა დაქცა მაშინ შენმა რაშმა წალკოტში.

— არა მიშავს რა, ხელმწიფის ქალო! დღეს დამიამდა! — უბასუბა ლომდარმა და მკვდარს ლომს ფეხი დაადგა.

კობარამ და თვალები გააეღვარა.

ქაბუკმა ცინარას გაუცინა, ალერსიანად თავი დაუქნია თავის ამილის დაუბრუნდა.

### III

ასპარეზობა გათავდა.

აღმოსავლეთის ხელმწიფე საქორწილო მზადებას შეუდგა.

მაგრამ დახე უბედურებას! როცა ქორწილის დღე დადგა, აღმოსავლეთის ხელმწიფეს აცნობეს, შენი ქალები საწოლში მკვდრები ვიპოვეთო. შემოირტყა თავში ხელები ხელმწიფემ და მწარედ ატირდა, დამნაშავე სძებნეს და ვერ იპოვეს. მაშას ცინარას საქორწილო სამზადისი შვილების საქელე-

ხოდ მოჰხმარდა. დებს საერთო სამარე გაუთხარეს წალკოტში და იქ დაასაფლავეს, მთელმა სახელმწიფომ შავები ჩაიცვა. ყველა თავის ხელმწიფის უბედობას ჩიოდა, ლომდარი კი თავის დაკარგულს, ლამ-ლამობით მიდიოდა საფლავზე და განთიადამდე თავის საყვარელს დასტიროდა.

— რათ მომიკალი გული, ცინარავ! — ამბობდა ქაბუკი. — ცინარავ, მზე აღარ მათბობს! მთვარე მიიმალა, ვარსკვლავნი აღარ ციმციმებენ, ცა მოიღუშა, თვალები ამომიშრა. ცინარა, ვინ მოგაშორა აქაურობას? მითხარ, მითხარ, რომ ჩემის ხელით მკვრიდი გაუბო, ცინარა, დაბრუნდი!

მაგრამ საფლავი სდუმდა.

ერთს ღამეს ლომდარი მივიდა საფლავთან და ზედ საუცხოვო ბუჩქი დაინახა.

— უთუოდ ხელმწიფის ბრძანებით დარგეს. — იფიქრა ქაბუკმა.

როცა სამარეს მოუჯდა და ჩვეულებისამებრ დაიწყო მოთქმა, ბუჩქის ერთს ტოტზე უმტვერო ქალღღიღით თეთრი ვარდი გადაიფურჩნა და გარშემო საუცხოვო სულნელება მიმოაბნია. ბუჩქის ფოთლები აშრიალდნენ.

— სიყვარულის ყვაილია, სიყვარულისა! — გაიგონა აშკარად ლომდარმა.

ვარდი გადმოიხარა და ქაბუკს ტუჩებზე მიეკრო.

— ცინარას სულია! — გაისმა ფოთლების შრი-ალში სუსტი ხმა.



ქაბუკმა ხარბათ დაჰყნოსა ყვაილს.

— კობარასაც უყვარდი. კობარას შეჰშურდა ჩემთვის შენი თავი. მეც მომწამლა, თვითონაც მოიწამლა თავი და ნათელს ქვეყანას მოვშორდით.

ლომდარი გიტივით წამოიქრა ზეზე; უნდოდა ქვეყნისთვის ეუწყა ეს ამბავი. უნდოდა ბარი დაეკრა და საფლავიდან კობარას გვამი ამოეღო, მ. გ. რამ თვალი ისევ თეთრს ყვაილს მიაპყრო. ვარდი ნაზად გადმოიხარა.

— მაკოცე! — გაისმა ფოთლების შრიალში ხმა. დასავლეთის ხელმწიფის შვილი გადასწვდა ყვაილს, მოზიდა თავისკენ, აკოცა და გულში ჩაიხუტა. მაგრამ ხელებში და მკერდზე ძლიერი სიმწვავე

იგრძნო. ბუჩქს შხამიანი ეკლები გამოჰბმოდა და ქაბუკს სხეულში შეჰბნეოდა.

— კობარა ნებას არ მაძლევს! — გაისმა კიდევ ფოთლების შრიალში.

ლონემიხდილი დასავლეთის ხელმწიფის შვილი დედამიწაზე დაეცა.

— მაკოცე! — გაიგონა უკანასკნელად ქაბუკმა და სული განუტევა.

დილით, როცა მზემ თავის პირველი სხივები გადმოსტყორცნა ქვეყანას, თეთრი ვარდი გადმოიხარა და მწუხარებით აღსავსემ გაცივებულს გვამს ორი მარგალიტით ცრემლი დააგდო.

ინ-ბანი.

# უზრუნველ ქართველის დღიურიდან

(კვირიდან-კვირამდე)

მეგობარი მე არა მყავს,  
და არც ოდეს მეყოლება,  
რადგან ფული მე არა მაქვს,  
რომ ვიყიდო მეგობრობა!..

სჩივის მგოსანი ი. ევლოშვილი. მერმე ვისი რა ბრალია! რამე აღგიღოს იშოვნინდა, მამაცხონებული, აი თუნდა „ჩვენ“ ქალაქის გამგეობაში და მაშინ, ფულიც ექნებოდა და „ბრავალი“ მეგობარიც ეყოლებოდა!.. ამასწინად, გაზეთების შემწეობით, შემთხვევით მაინც გაიგებდით, რომ ქალაქის სამმართველოში მოსამსახურე, მიწის მზომელის ბ. მელიქ-აღლავერდიანცისა, თითქმის ყველა „ღლასნები“ მეგობრები ყოფილა და მერმე როგორი თავდადებული მეგობრები!.. ტყუილად სცდილობდა ხმ. — „ტუტუც-ვრაცუ“ — შ. მესხიშვილი აღენიშნა მოქალაქეთა ჯიბის-მზომელი... უკაცრავად, — მიწის მზომელ მელიქ-აღლავერდიანცის მიერ ჩადენილი მრავალი სიყალბე და ბოროტმოქმედება. მაგ., ბ. მესხიშვილმა მოიხსენია, რომ ქალაქის გამგეობის დადგენილება ყოფილა, ქალაქის ზოგიერთი ნაქერი მიწები გაეყიდა, თითოეული საყენი, 15 მანეთად და მელიქ აღლავერდიანცს კი, თავის სურვილისამებრ, საყენი თითო მანეთად გაუყიდიანო... გულახდილად უნდი მოგახსენოთ, რომ პირადათ მეც საიმისო ბოროტმოქმედებას აქ ვერა ვხედავ; — მუსულმანებს აქვთ თქმულება, რომ: „უჯ-უზ სათან, — თეზ სათა-

რო“ — (იაფათ გამყიდავი, — მალე გაყიდისო) და იქნება მელიქ აღლავერდიანცსაც სურდა იმგვარ „დე-შევი რასპროდაჟით“ სწრაფად შეესრულებინა ქალ. გამგეობის დადგენილება და თუ გაყიდულ მიწებიდან იღებული ფული იმას ქალაქის კასაში არ შეჰქონდა, — ეს, როგორც პატივცემულმა ქალაქის თავმაც მოიხსენია, გულმავიწყობით მოსდიოდა აღლავერდიანცს და დამეთანხმეთ, რომ მართლაც ძნელი და უსიამოვნო გასახსენებელიც არის, როცა სხვისი ფული შენს ქისაში მოჰყვება. ან, თუნდა, ეგეც არ იყოს, ისეთ „მეგობართა“ შორის, როგორიც არიან თითქმის ნახევარი მილიონი თბ. მცხოვრებისა ღ ერთი მუჭა სოლოლაკელებ, — რა განკერძოება უნდა იყოს და სულერთია, ვის ჯიბეშიაც იქნება ფული?!. ამიტომაც ვფიქრობ, რომ, ჩემთან ერთად, თითქმის ყველა მოქალაქე კმაყოფილებას იგრძნობდა, როცა შეიტყობდა, რომ ქალ. მმართველობის სარევიზიო კომისიამ, აღლავერდიანცი, რომის პაპასებრ, უცოდველად სცნო და მათ შორის უმაღლესად გაცხოველდა ახალ-მიჯნურული განწყობილება...

ამ მიჯნურობამ უნებლიეთ გამახსენა, მიჯნურობა-არშიყოების მომღერალი, „დამსკი“ მგოსანი ი. ი. გრიშაშვილი, რომელმაც, ამასწინად, გულნატკენად შემომჩივლა, რომ „ვინც კი შემიყვარდა, — ყველა გამითხოვდაო“... თუ ჩემს თავს ნებას ვაძ-



ლევ და ამ, ერთგვარ მეგობრულ საიდუმლოებას, ვამქლავნებ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მწადია დიდად სასარგებლო რჩევა მივსცე ზოგიერთ ჩვენებურ „ბარიშნებს“: ვისაც მალე გათხოვება სწადია, ი. გრიშაშვილს თავი შეაჯვაროს... თუმცა, მეორე მხრით, ჩემი რჩევა აქ ზედმეტად უნდა იყოს და აი რატომ: გასულ კვირას გამართულ სალიტერატურო დილას დავესწარ და როგორც კი „დუშკა“ გრიშაშვილი სცენაზე გამოჩნდა, მრავალ ბარიშნას სიხარულისაგან „ისტერიკა“ აუვარდა და არა ნაკლები მათი რიცხვისა კიდევ. გულწასული, სახლებში გაისტუმრეს სწრაფი კარეტებით...

და რომ მეც მალე შევიქნები წასაყვანი, გულ-შეწუხებული, სწრაფი კარეტითვე მხოლოდ სულ სხვა მიზნით, — ეს ყოველ ეჭვს გარეშეა: მე მხოლოდ საღამოობით მაქვს ხოლმე შედარებით თავისუფალი დრო, როცა შემიძლია ჩემი დღიურის ამბები გაუზიარო მკითხველს, მაგრამ, თითქმის ყოველ საღამოს, ჩვენსა, ჩვენებური, ქართველური, დროს-დაუზოგველი, სტუმრიანობაა ხოლმე და უმრავლესობა სტუმრებისა მოდის იმიტომ, რომ „სკუნადა“ ვართ, და „დურაჩკა“ ვითამაშოთო... არა, თქვენ დღეგრძელობას, განა ლა ჩვენ კიდევ გვჭირვია „დურაჩკობა“?!. ამით აიხსნება რომ, ამ ჯერეთ, დღიურიდან მცირე ამბებს გაწვდით: „ვდურაჩკობთ“, დიახ, „ვდურაჩკობთ“!..

გ. ახ—ელი.

პ რ ე ს


ქართული

„სამშობლოში“ ფრიალ და მსხარათქმელი წერილი უძღვნა ია ეკალაძემ ბავშვების საყვარელ მგოსანს ბიძია შიოს. მოგვყავს უცვლელად:

„ნათქვამია: ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო! სწორეთ ამ „ზოგის კაკლის“ საქმე ემართებოდა და ემართება შიო მღვიმელს.

იმ დროს, როდესაც ბევრათ მასზე უნიჭო, მაგრამ ახალ-მოდის მგოსანის სახელი ჰქუხს საქართველოში და მათ შესახებ რეფერატს რეფერატზე კითხულობენ თუ სწერენ ახალ-მოდისავე „მკვლევარნი“ სიტყვა-კაზმულ მწერლობისა, შიო მღვიმელი ჩრდილში სდგას და აქამდე ღირსეული ყურადღება არავის მიუქცევია, იმისდა მიუხედავით, რომ თავისი მადლიანი კალმით ეს ოცდაათი წელიწადია დარაჯად უდგია მოზარდ თაობას და აფაქიზებს მათ ზნეობას, ანვითარებს მათ გონებას, ასპეტაკებს მათ გულისთქმას. ბევრი თანამედროვე მგოსანთაგანი პირდაპირ მოწაფეა შიო მღვიმელისა, როდესაც საბავშო რამეს სწერენ (გრიშაშვილი, შანშიაშვილი, ვედოშვილი, ახოსპირელი და სხვა).

ჩრდილში სდგას შიო თავისი პირადი ცხოვრებითაც: გულ-კეთილი, თავის სოციალურ მდგომარეობის კარგად შეშენები, თვალში არავის ეჩხირება და „ხელმოკლეობით შევიწროებული“ ზის თავისთვის მობუზულ წიწილისავით ჩვენ



ფრანგული დრედნოუტი „ბუვე“, დაღუპული დარდანელში. დაეჯახა ტალმსა და 5 წუთში ჩაიძირა მთელი ეკიპაჟით.



სალიტერატურო ოჯახის ერთ-ერთ კუთხეში და გრძნობით სავსე, ტანჯული იობისავით—ღმერთს მაინც მადლობასა სწირავს, რომ მისი მოწაფენი, მის ლექსებზე აღზრდილნი და ანარეკლნი მისი ღვთაებრივის პოეზიისა, თანდათან თვალსაჩინონი ხდებიან.

ჩრდილში დააყენეს შიო ბევრმა მისმა ამხანაგ-მეგობრებმაც! იყო დრო, რომ უშიოოთ ფეხსაც ვერ გადასდგამდენ; იყო დრო, როდესაც, ყველა „ჩემო შიოს“ უძახდა, მაგრამ დღეს კი... ზოგიერთები ვეღარც კი სცნობენ.

ჩრდილში დააყენა იგი ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამაც. თავის მინდობილისა და უეშმაკო ხასიათის მეოხებით შიო შეიქმნა „ზვარაკად განტევებისა“ და როცა ამ საზოგადოებაში ანგარიშები აწეწილდაწეწილი გამოდგა, ყველამ შიოზე ჩამოიწმინდა თავისი ხელები!..

სრული ოცდახუთი წელიწადი ემსახურა შიო ამ საზოგადოებას, მის ხელში აყვავდა, გაიზარდა და გაფართოვდა ეს საზოგადოება, აქ დალია მან დღენი თავის სიჭაბუკისა, განსვენებულ ი. გოგებაშვილის წიგნების კორექტურამ თვალში ჩინი წაართვა. ამა ქვეყნის რჩეულთა „კაპრიზებმა“ გული გაუწყალეს, ჰქონდა კიდევ საშუალება თავის დროზე გასცლოდა მათ, მაგრამ სიყვარული მწიგნობრობისადმი ისეთი დიდი ჰქონდა, რომ ყოველივე გაქირვებასა და დამცირებას იტანდა...

მაინც არ დაუფასდა ამაგი! „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწია“ და დღეს შიო, ყველას „ბიძია შიო“, ეს ჩვენი ბავშვების სულის მესაიდუმლე შიო, საშინელ ნივთიერ და ზნეობრივ გაქირვებასა და შეურაცხყოფას განიცდის...

არ არის შიო ღირსი ისეთის მდგომარეობისა და დამნაშავე იქნება ჩვენი საზოგადოება, თუ ახლა მაინც არ მიაქცევს ყურადღებას და სულით ამაყსა და გულით სპეტაკ მგოსანს ღირსეულ პირობებს არ შეუქმნის მოქმედება აღმაფრენისათვის!..


როგორცა სჩანს თბილისელებს განუზრახავთ გაუმართონ „დილა“ შიო მღვიმელს და სიცოცხლითვე ვარდ-ყვავილებით შეამკონ იგი.

მადლობა შემოქმედს, რომ ალალი კაცის ალალი შრომა ახლა მაინც ფასდება!..

ასეთი „დილა“ უნდა გაიმართოს ქუთაისშიაც და ამ დილის გამართვა უნდა იკისროს ქუთაისის ქართულ ქალთა პატივცემულმა წრემ, —რო-

გორც დედებმა და აღმზრდელებმა ჩვენის ბავშვებისა, რომელთა სიწმინდე-სიკისკისეს დაუღალავად უვალობს ძვირფასი მგოსანი შიო მღვიმელი.“

გუსურვით ჩვენც დღევანდელად უნდა „ბიძიას“ დაპფასებოდეს თავის უანგარო და უმწიფო და ქირნახული.



## სხვა და სხვა ამბები

★ **აშულები.** კვირას, მაისის 3-ს, საარტიტო საზოგადოების დარბაზში გაიმართება აშულების საერთო ცნობილ აშულის ჰაზირას წეთაურობით. მონაწილეობას მიიღებს ათის კაცისაგან შემდგარი დასტა - ეს სულ საუკეთესო საზანდრები არიან. სალამოს პროგრამა ძალიან საინტერესოთ არის შედგენილი: სიმღერის გარდა დაუკრავენ სხვა და სხვა აღგილობრივ საკრავებს (თარი, ქიანური, ჩანგური და სხვ.) როგორც სოლოთ, ისე დუეტებათ და ტრიოებათაც. როგორც გავიგეთ, სალამოს გამმართველთ აზრათა აქვთ სალამოს წმინდა შემოსავლის განსაზღვრული პროცენტი შესწირონ აკაკის ფონდს. იმედია, საზოგადოება ყურადღებით მოეკიდება ამ სალამოს. ბილეთები (2 მ. 50 კაპეიკიდან ათ შაურამდე) გაიყიდება 20 აპრილიდან წერა-კითხვის გამავცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

★ **აბრეშუმის თესლეულობის საქმე დასავლეთ საქართველოში.** კავკასიის სააბრეშუმო სადგურის უფროსი მეაბრეშუმე (ქუთაისის გუბერნიაში) ი. ქუთათელაძე ეს მეორედ აფრთხილებს ხალხს და ურჩევს საჩქაროთ დაიკვიტონ აბრეშუმის თესლი, როგორც ვიცით დასავლეთ საქართველოში ხმა დადიოდა წელს ვერც აბრეშუმის თესლს იშოვნის ხალხი და არც პარკს ექნება ბაზარიო. მაგრამ ეს ხმა საბედნიეროდ მართალი არ გამოდგა რასაც ამტკიცებს ბ. ი. ქუთათელაძის წერილი. სასურველია ამ გარემოებას მეურნეება მიაქციონ ყურადღება.

★ **თბილისის საშარხი კასა.** შირველი იანუთისათვის 1914 წლის კასაში იყო 1,888 მან. 52 კ. შირველ იანურიდან 1913 წ. ვადრე შირველ იანუკამდე 1914 წ. მაგვალეხუჯათა ჭიჩისუფლებს მიუცა 539 მან. წევრთა რიცხვი იყო 132, მათ შორის ბევრი წარჩინებული შირკები, ვით ებ. კირიონი და სხ. რასაკვირვე-



და, რომ აქამდე ჩვენს საზოგადოებას ვერ შეუგნია, თუ რა დიდ კეთილ საქმეს ემსახურება ეს კასა. მარტო გაუგებრობით თუ აიხსნება, რომ ამ მშენებელ დაწესებულებას ესდგენ მცირე რიცხვი წევრებისა ჰქვას ესეც მაშინ, რადგან მისი გამგეობა ფრიად საიმედოა. სამარხი კასის წლიური კრება მალე შესდგება და, როგორც გვაუწყებენ, ამ კასის წევრებს სურთ რომ თანხიდან ხუთასი მან. გადაიდოს მოძვე აჭარელების დასახმარებლად. იმედია, წლიური კრება დაადსტურებს ასეთ კეთილ განზრახვას, თუ წესდება ამის ნებას აძლევთ.

**(უზრნალ გაზეთებიდან)**

★ სიძვირე რუსეთში. მიუხედავად უოკლეგვარი საშუალებისა, რომ შიმშილობა არ ჩამოვარდეს რუსეთში, სტიქიას მაინც თავისი გააქვს. მასკოში, მაგალითად, ბრბომ რამდენიმე მალაზია დაანგრია. ჯარებს მოუხდათ წესიერების აღდგენა. ორმოც კაცამდე დატუსაღებულა. „რ. ვ.“ სიტყვით ასეთი უწყისობანი დღითი-დღე იზრდება. ასევე ითქმის ხორცის ნახრის შესახებ. „დასბი მუფეხი“ ხელაზნურად ახერხებენ ნიხრის მომატებასა. მაგრამ ყველაზე დიდი კრიზისი უდგება ნახშირს. იმავე გაზეთის სიტყვით მალე მოსკოვის სარაიონო ფაბრიკები დარჩება უნახშიროდ. გზათა მშენებელ მინისტრს ტუხლოვს ოფიციალურად განუცხადებია, რომ ზოგიერთი გარემოების გამო რკინის გზით სრულებით შეუძლებელია ნახშირის შემოზიდვა. ამიტომ მოსკოვი სამრეწველო აგენტებს დაუფლათ, ეს ამბავი გარდაუცხათ ქარხნების მუშატრეხეთათვის, რათა მათ შესაფერი ზომები მიიღონ. ასეთივე ამბები მოდის სხვა და სხვა ქალაქებიდან, განსაკუთრებით ხარკოვიდან. ყველანი მოითხოვენ, ეხლავე საზამთროდ დავიკეთოთ შეშა და ნახშირიც, რომ უოკლეგვარი მოსალაღნელო ამბისთვის მზად იყვნენ. არც თუ ჩადს მხრით არის უზრუნველყოფილი რუსეთი. იმავე მოსკოვში ჩადი ნაკლებად შემოდის ბროკინციის ფირმებს არა თუ სამყოფს, თითქმის სრულებითაც ვეღარაფერს აწვდიან. ჩვეულებრივ საბროკინციოდ 120 ათასი უუთა ჩადი გაჰქონდათ. ეხლა კი ოთხი ათასამდე ძლივს ახერხებენ. მცხოვრებნი მოითხოვენ, წამალს დაუდონ ამ სენს, მით უმეტეს, როგორც ამბობენ, ვლადივოსტოკში ბლამად უოფილა თურმე დაგროვილი ჩადი და გამოსატანად ვაკონები ვერ უშობნიათ.

★ გერმანელები იტალიაში. იტალია მოაჩიოვე ბანკანის დაემზავსა. მეომარი მხარენი ერთის ამბით კვლეულებიან და ოქროს ნქტარს უხვად აწვიმებენ. მაგრამ მოაჩიოვეთა მოარის ჯერჯერობით გერმანიასე ძლიერი თიფისმა არავის უხმარნია. მაროლაც, ამ მხრით, გერმანიის ენერჯია გასაოცარ ამბად უნდა ჩაითვალოს.

მთელი იტალია დღეს მათი ქსელით არის დაფარული. საფოსტო უუთები სასესა წერილებით, ახალ-ახალი გაზეთებით, გერმანელთა ფაბრიკები ასე, მაგალითად, უოკლე დღითი შეუძლებელია რომ სახლის პატრონმა არა ნახოს! „Berliner Tageblatt“-ის ნომრები იტალიური გამცემით, ან და „Bureau des Deutschen Handelstages“ ბერტელსელს ენაზე, სადაც გერმანელები ჰგომბენ ინგლისელთა ფლოტის ბატონობას. აქ უნდა დემატოს მთელი სერია უურხალ-გაზეთებისა, რასაც შიგ რომშივე სცემენ: „Victoria“, „Concordia“, „Italie Nostra“, და მთელი რიგი ბროშიურებისა საზოგადო სახელით „Laguerra e l'Italia“. ამ ბროშიურების ავტორნი თვით იტალიელები არიან ბენდეტო ქროჩე, კურატალი, ნიოლი და სხვები. ბროშიურათა გავრცელება უკისრია თვით გერმანიის ხალხს. აუარებელი ფული იხარჯება გამცემსაზე. მაგრამ მათი სიფრთხილე უფრო ანტიფორებს აღამიანს. ბირდაშირ, აშკარად, არც ერთს ბროშიურაში არ ამხედრებენ იტალიელებს მოკავშირეთა წინააღმდეგ. არა, ისინი მხოლოდ მადან უღვიძებენ, კარგი იქნებოდა, რომ ნიცა, სავოია, მალტა და ტუნისი ხელთ ექონოდეთ, ხმელთა შუა ზღვის ინტერესები ფრიად საკუფისხმოეროა და აქ ნახსნობის სვე-ბედის საჭე თქვენ უნდა გეპურათო. ამასთანავე დიდის ინტერესით გაიხსენებენ შესამოცე წლებს, მოქყაყთ გარბაღდის სიტყვები, სადაც ამ მამულიშვილის შეურაცხყოფილი გრძნობა გამოიხატება იმის გამო, რომ ნიცა ფრანგებს დაუთმოთო.

★ გერმანელები და ფრანგები. გერმანელები ამ ბოლო დროს სცდილობენ ფრანგებთან დაახლოებას. საფრანგეთს ჰქონდა უფლება ჩვენთვის ომი გამოეცხადებინათ, რათა 1870—71 წლ. სამაგიერო მოეთხოვნათო. მათ სწამთ, რომ ომის შემდეგ გერმანიას და საფრანგეთი დაუმეგობრდებიან ერთმანეთს. მათ რისხვის სახეს ამოიხსნული აქვს უმთავრესად ინგლისი და რუსეთი. ამათა განადგურება ჩვენი იდეალი და არა საფრანგეთის წახდენა—მოსზობათ.

★ ბელგიის ბედი. გერმანელები დრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ბელგიის ბედი გარდაწვევტილია, დამოუკიდელობას ვერ მიაღწევსო. ბელგიას გერმანიის ბროკინციოდ დარჩება. თუ მას აიძულებენ დათმობაზე, შეიძლება დასთანხმდეს, მაგრამ იმდენს მაინც ეცდება, რომ ანტეპრეზენი და გერმანიის საზღვარი დამბურგის ბროკინციამდე არავის დაუთმოსა. შეიძლება სამხრეთ ბელგიაზე აიღონ ხელი, ისიც იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის გამარჯვება ისეთი არ იქნება, როგორც ჩვენს გვსურსო.

★ ჰეინე ლიბკნეხტის წინააღმდეგ. სოც. დემოკრა-



ტი გერმანიის რეისტრაციის ვალდებულებას დაემატა მთელი ქვეყნის უურადღებო იმპერატორი. ამ ახლო წარსულში მან წარმოსთქვა ძლიერი სიტუაცია სოციალიზმზე, და ერთ-ერთ სპეციალურ ჰეინე ჰეინეებს დაბეჭდეს, რომელიც მოუსვენრად ილაშქრებს ამის წინააღმდეგ. დაბეჭდვით, ამბობს იგი, ძალიან ხალხურად გახდა ინგლისელთა სათაურო გმირად, როგორც სიმბოლო მომავალი გერმანიისა, რომელთაც მას (ინგლისს) მოუსდება ზაფის წამოგდება. მაგრამ სწავლებიან, ვითომც „ზოტსდამის მეორე შედეგ“ (ვითომც დაბეჭდვით) დიდ ადგილს ჰქონდეს გერმანიის ს. დ. გულში. მართლაც, ჩვენ, გერმანიის ს. დ.—ტუბი ზაზდით ვუყურებთ სხვა ერთა ბრძოლ ათვალისწინებას, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ბრძოლათა უფროს შესხედულებას ტაში დაუკრან. არა, ბრძოლათა ქსურს ჩვენი განადგურება. ჩვენ ჯერ ამი არ გვინდოდა, გვსურდა სპეციალ მშვიდობიანობისა და ზაფის გამარჯვება, მაგრამ რაკი არ იქნა, რაკილა სამშობლო ჩვენი მტრისგან ვარშემორტყმულა, ჩვენც გვინდებოდა უკანასკნელ სისხლის წყლთამდე ვიბრძოლოთ და ჩვენზე მოაუბრძინო ავლადგომოთ. აქ კი, ამ შესხედულობაში, თვითველი ჩვენგანი სუფით და გულთა თანაუგრძობს სხვა ბრძოლებს და მთავრობასთან ერთად კოლექტიურ ზასურს აძლევს მასეულ მტრებს...

★ წყალქვეშა ნავების მოქმედება. აღრიტიკის ზღვაში ავსტრიელთა წყალ ქვეშა ნავმა დაპლუბა ფრანგების კრეისერი „ლეონ გამბეტა“. ეს კრეისერი აშენებულია 1901 წ. სისწრაფე მისი უდრიდა 22 კვ. შეიარაღებული იყო 44 ხარბაზ. აქედან 4 ხარ. 7,5 დიუმიანი იყო, 16 6,5 დ. ხოლო დანარჩენი 2 დ. ამასწინად რომიდან და ბუქარესტიდან მოვიდა ცნობა, რომ გერმანიელებს აღრიტიკის ზღვაში გადმოაქვთ თავიანთ წყალქვეშა ნავებიო. ჩვენ უკვე ვიცით რა სარგებლობა მოუტანა გერმანიელებს ამ ახალ ტიპის წყალქვეშა ნავებმა. გერმანიელებმა როდესაც პირველად ჩაუშვეს ზღვაში ასეთი ნავი, მაშინ ფრანგებს უკვე 85 ნავი ჰქონდათ. სიანს, ხარისხით გერმანიელებისა ბევრად სჯობიან მის მეტოქეებისას. მას შემდეგ „გერმანია—კრუპის“ სახელოვანი ქარხანა გამუდმებით აგებდა ასეთს ნავებს. ზღვაზე დიდი სამსახური გაუწიეს ნავებმა. 5 ენკ. პირველად დაპლუბეს ინგლისელთა კრეისერი „პატფაინდერი“, 23 ენკ. სამი კრეისერი „კრესი“, „ხოგი“ და „აშუკირი“ ერთსა და იმავე დროს დაპლუბა ერთმა წყალქვეშა ნავმა, შემდეგ 16 ოქტ. კრეისერი „ხაუკი“ იმავე წყალქვეშა ჩასძირა; ასევე დაიღუპა რუსის ჯავშნოსანი „პალადა“,

ინგლისელთა „ჰერმესი“, „ნიგერი“, და ცნობილი ჯავშნოსანი „ქორმიზდი“.



## ოიდიპოს მეთე-ქართულ სცენაზე

სოფოკლეს სახელოვანმა ტრაგედიათა გააბედნიერა ჩვენი სცენა. თქმა არ უნდა, ჩვენი სცენის სილარიბე, რასაც განვიცდით საკუთარ თეატრის დაწვის შემდეგ, ხელს ვერ შეუწყობდა პიესის მწყობრ მსვლელობას, თუნდა, ვთქვათ, დეკორაციის მხრით; მაგრამ ის, რაც მოგვებოვება, მშვენიერად გამოეყენებინა რეჟისორს, რომ რამდენადმე ანტიური სტილის სული შეექმნა სცენაზე. ერთი რამ შეიძლება შევნიშნოთ, კითხრონის კიდენი და მისი ლანდშტაფი უკეთესად შეეძლოთ მოეწყოთ, თუ მარცხნივ სცენის სილრმისკენ გასწევდენ მას და ბადით გამჭვირვალ სახეს მისცემდენ, თორემ საზოგადო სურათს ელფერს უკარგავდა იგი და უშნო, შეთითხნულ კედელსავით ეჩხირებოდა თვალს.

მაგრამ ყველა ეს წვრილმანია. მე მსურს მივაქციო ყურადღება თვით აღმსრულებელთ. მთავარი როლი ოიდიპოსი, რომლის გარშემოც ტრილოებს საზარელ მოიროს ჯადოსნური ჯარა მიზანში ამოღებულ პირის გასაგმირადა, ეკისრნა ჩვენს ახალგაზრდა მსახიობს ა. იმედაშვილს. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მან მეტად, და ისიც მეტისმეტად გაათანამედროვა ანტიურ ქვეყნის გმირი ოიდიპოსი. თუ ხელოვნებას დაფუძნებთ ყურს, მაშინ დავინახავთ, რომ ა. იმედაშვილის ტონი ყალბად იყო აღებული. ჩვენ ვერ ვხედავდით მოგვეურსა და მეტად სადა ინტონაციას, თვით ძლიერ ემოციათა დროს გაზვიადებულ თრთოლვას, საღმრთო სიგიჟეს, ცივსა და ძალდაუტანებელს პლასტიკას. თუ ავიღებთ თანამედროვე გარყვნილ ესთეტიურ გემოვნების მოთხოვნილებას, მაშინ, დიახაც, რომ მოლოდინს გადააქარბა იმედაშვილმა. და რაკი ეს ასე მოხდა, მსახიობი დაექვემდებარა დღევანდელს ესთეტიკას და ძველი გმირი გაათანამედროვა, ჩვენც იძულებული ვხდებით ამ მხრით განვიხილოთ მისი თამაში.

პირველ გამოჩენისთანავე ა. იმედაშვილმა გვარძნობინა სვებედ მორკმული ოიდიპოს. ძალდაუ-



ტანებელი და მეტად მოხაზული პლასტიკა თანწე-  
ზომილი დიქციით თვალწინ გვიდგენდა სფინქსის  
დამმარცხებელ მეფეს, რომელსაც საკუთარი ძალ-  
ლონე შეუგნია. გაბრწყინებულ თვალებიდან იმე-  
დის ნაპერწკლები გადმოსცვივდა, როდესაც სიტყ-  
ვით მიჰპართეს თხეხსავით შემოცვენილ დამფრთხალ  
„კადმოსის შვილთ“ ამ დროს მის ბუნებრივ მედი-  
დურობას საოცარის სისწორით ეგუებოდა არანაკ-  
ლებ მედიდური გრაცია. მასში ერთსა და იმავე  
დროს თავისუფლად და ძლიერი სახით ხორციელ-  
დება ოიდიპოსის მეფური ღირსებაცა და ნაკლუ-  
ლოვანებაც. ყოველს მნიშვნელოვან თუ უმნიშვნე-  
ლო ხმაურობაზე იგი იქერდა განსაკუთრებულ პო-  
ზას. პროფილში იგი ღმერთ-მეფის ქანდაკსა ჰგავდა.  
საუცხოვო ხელოვნებით ჩაატარა მომენტი უდიდესი  
კატასტროფისა, როდესაც ოლიმპის მწვერვალამდე  
აზიდული ბედნიერი ოიდიპოს შეიგნებს, რომ თვით  
ამ თვალთმაქც ბედნიერებაში იგი უზომო უბედუ-  
რია, როგორც სასტიკ მოირას სათამაშო ნიუთი. ეს  
ორი მომენტი, უკიდურესი ბედნიერება და უბედუ-  
რება, როგორც უფსკრულის ორი კიდე, ერთი-ერ-  
თმანეთზე გადაჰკადა და მრავალფეროვანი სახიობით  
ჰარმონიულად შეაზავა. ხელოვანმა იხსნა ხელოვნე-  
ბა აუცილებელ ქაოტიური მდგომარეობიდან, რაც  
შეგვეძლო გვეგულისხმა, თუ მსახიობი წასცდებო-  
და და ოდნავაც არის, თამაშის ტაქტს უღალატებ-  
და.

ოიდიპოსს სათანადოდ უწყობდნენ ხელს სხვა  
მსახიობნიც. მაგალითად, კარგი იოკასტე იყო ქნი  
ა. ქიქოძის ასული. ვამბობთ კარგი მეთქი, რამდენა-  
დაც საქმე გვაქვს მის ახალგაზრდა ნიქთან, რომელს-  
აც გაფურჩენა ეჭირვება, წვრთნა, სკოლა. თუ ეს  
არ მივიღეთ მხედველობაში, მაშინ უნდა გამოვ-  
ტყდეთ, რომ მისი იოკასტე მეტად ფერმკრთალი  
იყო. ვერ ვიტყვით, რომ ეს ახალგაზრდა მსახიობი  
სასცენო ძალას არ წარმოადგენს, ვერც იმის თქმა  
შეიძლება, ვითომც მას საკმაო ტემპერამენტი არ  
ეოებოვებოდეს, სასცენო ცეცხლი. პირიქით, ძლი-  
ერ ემოციებს ხშირად გადაჰარბებული გრძნობითაც  
კი გვიხატავს, მაგრამ ეს კიდევ როდი ნიშნავს იმ  
სახელწოდების ეკვივალენტს, რასაც მსახიობს ეძა-  
ბიან. ეს მხოლოდ ნიქია, საწვრთნელი ნიქი, რო-  
მელიც უსათუოდ სკოლის ქურაში უნდა გამოეწრ-  
თოს. აი, სწორედ ამ უსკოლობას უნდა მიეწეროს,  
რომ იმ დღეს ქნი ქიქოძის თამაშში ერთგვარი ქა-  
ოტიური მდგომარეობა გამეფდა, სადაც ყოველის-  
ფერი შეგვეძლოთ დაგენახათ ტრაგედიაც და მელო-

დრამაც. თვით კომედიაც კი. მას სურდა იოკასტეს  
დედოფლური ბრწყინვალეობით გამოსულიყო, მაგრამ  
მის მედიდურებას ხმის ამოდებისთანავე შარავანდე-  
დი მოეგლიჯა: მისი ხმა იყო ნაზი, თიხის მორ-  
ცხვი, როგორც შეჭფერის ზღაპრის ფერიას. უმაღ-  
ლესად კეკლუცი და დიდებული მომენტი შეძრწუ-  
ნებისა, როგორც კლასიკურ პიესების აუცილებელ  
ფერადის, მან მხოლოდ უბრალო თითების მტვრე-  
ვითა და ტერასზე ფორთხვით გამოჰხატა და მით  
იოკასტეს მოაკლო საღვთო ძალლონე, თუ გნებავთ  
ანტიურ დროინდელი იოკასტეთა განსაცვიფრებელი  
მამაკაციური ძალლონე. არა, როგორც ვსთქვით, ქ-  
ქიქოძის იოკასტე კარგი იყო, თუ აღმსრულებელს  
მოყვარულად ჩავთვლით და მეტად სუსტი, თუ  
ასეთ სახით შეასრულა უკვე დიპლომბილებულმა  
მსახიობმა...

სუსტობდა ზარდალიშვილიც კრეონის როლ-  
ში.

ა. შანშიაშვილს შეეძლო მოხუცი ტირები უფ-  
რო კარგად დაეხატნა, თუ თავის მდიდარ ხმას მო-  
ნოტონურად არ მოიხზარებდა. საზოგადოდ იმ დღეს  
ამ როლში ბევრად უფერული იყო, ვიდრე გვინა-  
ხავს იგი სხვა დროს ჩვენს ძველს თეატრში...

სუსტობდა ხორო მოხუცებისა. აქ უმუსიკო-  
ბაც უშლიდა ხელს.

მხევლებს მეტისმეტი კივილით დისონანსი შეჰ-  
ქონდათ პიესის მსვლელობაში. არც თუ შერჩეული  
პერსონაჟი იყო. მეტი წილი უგრიმოდ გამოსული-  
ყო. ეს არ ეპატიებათ საზოგადოდ ყველას და მით  
უმეტეს ქნი. ჩხეიძეს, რომელსაც ყოველთვის გათ-  
ვალისწინებული აქვს ხოლმე თავისი მოვალეობა...

ტიპიური გულუბრყვილო მწყემსი იყო ბნი  
კორიშელი.

ნინიძეს რომ როლი სცოდნოდა, უფრო კარგი  
მოამბე იქნებოდა...

დ. კ—ძე.

### პროვინციის ცხოვრება

დ. ჩხარი. (ზემო იმერეთი). ჩხარი საკმაოდ  
ცნობილი დაბაა. მცხოვრებთა რიცხვი უდრის 1200  
კომლს. უმრავლესობა ქართველობაა, 150—200  
კომ. იქნება სომეხი. მცხოვრებნი მისდევენ მეურ-  
ნეობას. ღვინის დამუშავებაც კარგა ხელს აძლევს.



# ხელის მომწერთა საყურადღებოდ:

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს პატივცემულ ხელის მომწერთ ჟურნალის ხვედრი ფული გამოგსაუნონ დროზე, უმთავრესად ეს შეეხება ქ. გორისა და დ. ცხინვლის ხელის მომწერთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჟურნალის გსაუნა მოესპობათ.

კარგი ადგილი უჭირავს მებარეშუმეობასაც, თუმცა ბაზარი არ არის ფართო. მიწის სიმცირემ აქაურები გაჰხადა მხნე, მომუშავე, გამბედავი. ამ მხრივ მათ ბევრად წინ გაუსწრეს ქვემო იმერლებს, სადაც ზარმაცობა ფეხ მოკიდებულია...

ბაზარზე უმთავრეს მეტოქეებად გამოდიან სომხები. ეს არც ისე გასაკვირველია, თუ გავიხსენებთ საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის ბედს, რომელიც ჯერჯერობით ჩვენს მეზობლებს უფრო სწყალობს და უცინის, ვიდრე ქართველებს.

ჩხარში დაარსებულია საკრედიტო ამხანაგობა. თავმჯდომარეობს მღვ. არტემ გაპამატიანი. დანარჩენი წევრები სულ ქართველები არიან. მართალია, ამხანაგობის საქმე ჯერ სავსებით არ არის მოწყობილი, მაგრამ ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ იგი სულ ახლად დაწყებული საქმეა, ნორჩი. ხალხი კი დიდი მადლიერია მისი. დღემდე მათი ბედ-იღბალი სულ ჩაჩნების ხელში იყო. მკირე სესხში აუარებელ გადასახადს სთხოვდნენ. დღეს კი შეღავათიან პირობებში შეუძლიან ხელის მონაცვლება და მოლონიერება. დიდი მადლობის ღირსია ბ.ნი ა. არაბიძე, რომელმაც ხალხს შეაგნებინა ბანკის მნიშვნელობა და ყოველი ძალა იღონა საქმის წარსამატებლად.

განათლების მხრით თავს ვერ შეიქებს დ. ჩხარი. დღემდე აქ მხოლოდ დაბალ ტიპის სასწავლებლებია, რომელთაც არ შეუძლიათ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. შეძლებულ მცოვრებთ შვილები მიჰყავთ ქუთაისში და თბილისში. ამ ბოლო დროს აქ ლაპარაკი იყო გავსნათ საშვალო სასწავ-


ლებელი, პროგიმნაზიების ტიპისა. ჩვენ ეს ვერ გავიგია. რა სანუკვარია ასეთი სასწავლებელი, რა ფასი აქვს იქაურ სწავლას, ან რაში გამოიყენებენ მას? ჩვენის ღრმა რწმენით თუ კი ძალ-ღონე შესწევთ ჩხარელებს ახალის სასწავლებლის გასახსნელად, და ისიც საშაულო ტიპის სასწავლებლისა, მაშინ ბევრად უმჯობესი იქნებოდა სამეურნეო სასწავლებელი გახსნან, ან ერთ-ერთი სასპეციალო. ნუ დაივიწყებენ, რომ გიმნაზიები სამოხელეო ხალხს გვიზრდის, ჩვენი ქვეყანა კი, როგორც სამეურნეო და მომავალი სამრეწველო ქვეყანა, მოითხოვს სპეციალიტებს...

ი. იმერელი.

## ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ ჟურნალის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ სოფ. ოძისში მცხოვრებელს (დუშეთის მაზრა) მთელი მაზრისათვის მომეტებულ გულ კეთილს თავადს ს. მ. ჩოლოყაშვილს, რომელმაც კეთილი ინება და სოფ. მკადიჯვრის უფასო წიგნთ-საცავ სამკათხველოს წლის ბოლომდისინ გამოუწერა ჟურნალი „ქლდე“.

მკადიჯვრის წიგნთ-საცავ სამკათხველოს თავმჯდომარე მღვდ. მიხ. მშველიძე.



რედაქტორ-გამომცემელი რ. ვაბაშვილი.